დამტკიცებულია:
ა(ა)იპ „გიორგი მთაწმინდელის სახელობის
გალობის უნივერსიტეტის“ რექტორის 2023 წლის 08 დეკემბრის
№03 ბრძანებით (დანართი 35)

ა(ა)იპ „გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტში“ კვლევების, შემოქმედებითი საქმიანობისა და სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

ა(ა)იპ „გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტში“ (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) კვლევების, შემოქმედებითი საქმიანობისა და სტუდენტური პროექტების დაფინანსების წესი (შემდგომში - „წესი“) განსაზღვრავს სამეცნიერო-კვლევითი პროექტების, შემოქმედებითი-პრაქტიკული და სამეცნიერო აქტივობების შესახებ წარმოდგენილი პროექტების უნივერსიტეტის მიზნებთან შესაბამისობის დადგენისა და დაფინანსების პროცედურას, ასევე, ადგენს დასაფინანსებელი პროექტების/აქტივობების შეფასების კრიტერიუმებს.

მუხლი 2. დაფინანსების ტიპები

1. დაფინანსებას ექვემდებარება სამეცნიერო/კვლევითი პროექტები და შემოქმედებითი აქტივობები.
2. ახალგაზრდა შემსრულებლების/მკვლევრების მოზიდვის მიზნით უნივერსიტეტი ახორციელებს სტუდენტების სამეცნიერო-კვლევითი პროექტების, შემოქმედებითი-პრაქტიკული და სამეცნიერო აქტივობების დაფინანსებას.

მუხლი 3. დაფინანსების მიღებაზე უფლებამოსილი პირები

1. უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი უფლებამოსილია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს უნივერსიტეტს და მოითხოვოს ამ წესის მე-2 მუხლის პირველ პუნქტში მითითებული პროექტების/აქტივობების დაფინანსება.
2. უნივერსიტეტის სტუდენტი უფლებამოსილია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს უნივერსიტეტს და მოითხოვოს ამ წესის მე-2 მუხლის მეორე პუნქტში მითითებული პროექტების/აქტივობების დაფინანსება.

მუხლი 4. სამეცნიერო კვლევითი გრანტი

1. კვლევითი საჭიროებების გათვალისწინებით უნივერსიტეტში ღია კარის წესით მიიღება საპროექტო განაცხადები. შესაძლებელია, გრანტის თემატიკის შერჩევა განხორციელდეს ფაკულტეტის საბჭოს მიერ უნივერსიტეტის პრიორიტეტების მიხედვით

2. საგრანტო კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია, უნივერსიტეტის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს. თანხის ოდენობა განისაზღვრება უნივერსიტეტის ბიუჯეტის შესაბამისად.

მუხლი 5. სტუდენტების ხელშეწყობის გრანტი

1. სტუდენტების საჭიროებების გათვალისწინებითა და მათი მხარდაჭერის მიზნით უნივერსიტეტში ღია კარის წესით მიიღება საპროექტო განაცხადები. შესაძლებელია თემატიკის შერჩევა განხორციელდეს ფაკულტეტის საბჭოს მიერ განსაზღვრული უნივერსიტეტის პრიორიტეტების შესაბამისად.

2. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ უნივერსიტეტის ნებისმიერი საფეხურის სტუდენტებს. პროექტების ბიუჯეტის ოდენობა განისაზღვრება უნივერსიტეტის ბიუჯეტის მიხედვით.

მუხლი 6. სამეცნიერო აქტივობების დაფინანსება

1. უნივერსიტეტი აკადემიური და მოწვეული პერსონალის სამეცნიერო აქტივობების წახალისების მიზნით, ასევე სტუდენტების ხელშეწყობის მიზნით არსებული ბიუჯეტის გათვალისწინებით აფინანსებს:

ა) ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო რეფერირებად ჟურნალში სტატიის გამოქვეყნებას;

ბ) სამეცნიერო ნაშრომის (წიგნის, მონოგრაფიის, ლექსიკონის, ენციკლოპედიის და სხვ.) დაბეჭვდას;

გ) საზღვარგარეთ სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობას (კონფერენცია, ვორქშოფი, სიმპოზიუმი და ა.შ.);

დ) უნივერსიტეტში საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიების ორგანიზებას;

ე) უნივერსიტეტს გარეთ მოპოვებული სამეცნიერო გრანტის დამატებით დაფინასებას;

ვ) სამეცნიერო ექსპედიციების განხორციელებას;

ზ) შემოქმედებითი პროექტის განხორციელებას;

თ) საკონცერტო საქმიანობას (გამონაკლის შემთხვევებში).

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებული დაფინანსების მოთხოვნის უფლება აქვს უნივერსიტეტის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, სტუდენტს. დაფინანსების მოთხოვნა შესაძლებელია წლის განმავლობაში ნებისმიერ დროს პროექტებისათვის განსაზღვრული ბიუჯეტის ამოწურვამდე. დაფინანსება განხორციელდება უნივერსიტეტის მიერ აღნიშნული აქტივობებისთვის ბიუჯეტით გამოყოფილი თანხების ფარგლებში.

მუხლი 7. განაცხადის წარდგენის და განხილვის წესი

1. ამ წესის მე-4 და მე-5 მუხლებით განსაზღვრული საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

2. ინფორმაცია საგრანტო კონკურსის შესახებ განთავსდება უნივერსიტეტის

ოფიციალურ ვებგვერდზე. უნივერსიტეტი ვალდებულია განცხადების მიღებამდე არანაკლებ 1 თვით ადრე უზრუნველყოს აღნიშნული ინფორმაციის გამოქვეყნება.

3. საგრანტო კონკურსის ორგანიზებასთან დაკავშირებული საკითხების ადმინისტრირებას და შემდგომ მხარდაჭერას ახორციელებს საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროექტების მართვის სამსახური (შემდგომში -„ სამსახური“).

4. დაინტერესებულმა პირმა საპროექტო განახადი დასაფინანსებლად უნდა წარადგინოს უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების სამსახურში (შემდგომში - „კანცელარია“) ამ წესის დანართი 1-სა და დანართი 2-ის შესაბამისად განსაზღვრული განაცხადის ფორმა და სხვა მოთხოვნილი დოკუმენტაცია.

5. კანცელარია უზრუნველყოფს დოკუმენტაციის აღრიცხვასა და სამსახურისთვის გადაცემას. სამსახური საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ამოწმებს განაცხადისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის ფორმალურ შესაბამისობას. განაცხადის არასრულად შევსების ან/და დოკუმენტაციის არასრულყოფილად წარმოდგენის შემთხვევაში განმცხადებელს განესაზღვრება ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად არანაკლებ 5 და არაუმეტეს 15 დღისა. დადგენილ ვადაში ხარვეზის გამოუსწორებლობის შემთხვევაში განაცხადი რჩება განუხილველად.

6. ამ წესის მე-8 მუხლით განსაზღვრულ საბჭოს შემოსული განცხადებები წარედგინება სამსახურის მიერ.

7. ადმინისტრაციული წარმოება უნდა დასრულდეს განაცხადის წარმოდგენიდან არაუმეტეს 1 თვის ვადისა.

მუხლი 8. საპროექტო განაცხადების შეფასების საბჭო

1. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანებით იქმნება საპროექტო განაცხადების შეფასების საბჭო (შემდგომში - „საბჭო“), რომელიც იღებს გადაწყვეტილებას პროექტების/აქტივობების დაფინანსების შესახებ.

2. საბჭოს შემადგენლობაში შედიან: ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (საბჭოს თავმჯდომარე), ფაკულტეტის დეკანი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროექტების მართვის მენეჯერი. საკითხის სპეციფიკის გათვალისწინებით ადმინისტრაციის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით საბჭოში შესაძლებელია წევრად მოწვეულ იქნეს დარგის სხვა სპეციალისტი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს შეფასების პროცესში.

3. საბჭო წარმოდგენილი პროექტების/აქტივობების შეფასებას ახორციელებს უნივერსიტეტის პრიორიტეტებიდან და საჭიროებიდან გამომდინარე უნივერსიტეტის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესაბამისად.

4. საბჭო უფლებამოსილია იმსჯელოს წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასებაზე, თუ მას ესწრება საბჭოს შემადგენლობის არანაკლებ 2/3.

5. საბჭო უფლებამოსილია დააფინანსოს წარმოდგენილი პროექტი სრულად, ნაწილობრივ ან უარი თქვას მის დაფინანსებაზე; აგრეთვე, მიიღოს გადაწყვეტილება საპროექტო განაცხადის კორექტირების თაობაზე.

6. პროექტების შეფასება ხორციელდება 30 ქულის ფარგლებში, შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

#	შეფასების კრიტერიუმი	ქულა
1	პროექტის შესაბამისობა უნივერსიტეტის სტარტეგიული გეგმით განსაზღვრულ პრიორიტეტებთან/გამოცხადებული კონკურსის შინაარსთან	0-10
2	პროექტის მოსალოდნელი შედეგი (მდგრადობა)	0-5
3	ბიუჯეტის შესაბამისობა პროექტის მიზებთან	0-5
4	შესაბამისი პროექტების განხორციელების გამოცდილება	0-5
5	პარტნიორების ფინანსური ან სხვა ტიპის თანამონაწილეობა	0-5
	სულ	**30**

7. საბჭოს გადაწყვეტილებით დაფინანსდება ის პროექტი/აქტივობა, რომელიც დააგროვებს ყველაზე მაღალ ქულას, ამ მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრული პირობის გათვალისწინებით.

8. იმ შემთხვევაში, თუ ორ ან მეტ კანდიდატს ექნება თანაბარი ქულები საბჭო კანდიდატებთან ატარებს გასაუბრებას.

9. საბჭო უზრუნველყოფს დაფინანსებული პროექტების/აქტივობების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.

10. კანდიდატი უფლებამოსილია გაეცნოს მის მიერ წარდგენილი განაცხადის შეფასების შედეგებს.

მუხლი 9. მონიტორინგი

1. დაფინანსებული პროექტების/აქტივობების მონიტორინგს ახორციელებს პროექტების მართვის სამსახური, საჭიროების შემთხვევაში უფლებამოსილია მონიტორინგის პროცესში მოითხოვოს დარგის ექსპერტების და სხვა პირების ჩართულობა.

2. საგრანტო აპლიკაციის დაფინანსების შემთხვევაში მხარეებს შორის ფორმდება ხელშეკრულება, რომლის შესაბამისადაც განისაზღვრება გრანტიორის მიერ ანგარიშების წარმოდგენის ვადები და მონიტორინგის პირობები.

3. საგრანტო თანხა გადაირიცხება პროექტის ბიუჯეტის შესაბამისად. პროექტების ფინანსური მართვა განხორციელდება ინდივიდუალურად, პროექტების სპეციფიკის შესაბამისად.

მუხლი 10. დასკვნითი დებულებები

1. წესს ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი ბრძანებით.

2. წესში ცვლილებების ან/და დამატებების შეტანა წარმოებს უნივერსიტეტის

რექტორის ბრძანებით.

3. წესი ძალაში შევიდეს დამტკიცებისთანავე.

დანართი 1

ა(ა)იპ „გიორგი მთაწმინდელის სახელობის

გალობის უნივერსიტეტის“ ადმინისტრაციის ხელმძღვანელს

----------(სახელი, გვარი)

----------(განმცხადებლის სახელი, გვარი,

პოზიცია, საკონტაქტო ინფ.)

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

წარმოგიდგენთ საპროექტო განაცხადს ..... (პროექტის სახელწოდება) ბიუჯეტით ..... (მიუთითეთ პროექტის ბიუჯეტი). გთხოვთ, განიხილოთ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

(განმცხადებლის სახელი და გვარი)

თარიღი:

ხელმოწერა: _____

დანართი 2

ა(ა)იპ „გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერიტეტი“

განაცხადის ფორმა

პროექტის სახელწოდება:		
პროექტის დაწყების თარიღი:		
პროექტის დასრულების თარიღი:		
პროექტის ბიუჯეტი:		
უნივერსიტეტიდან მოთხოვნილი თანხა	თანადაფინანსება სხვა წყაროდან	პროექტის საერთო ბიუჯეტი

_____

(აპლიკანტის ხელმოწერა)

თარიღი: _____

ინფორმაცია განმცხადებლის შესახებ:

სახელი, გვარი:	
პოზიცია უნივერსიტეტში:	
მისამართი:	
ტელეფონი:	
ელ.ფოსტა:	

ინფორმაცია განმცხადებლისა და შემსრულებლის/შემსრულებლების შესახებ:

წარმოადგინეთ ინფორმაცია განმცხადებლის, პროექტის ხელმძღვანელისა და პროექტში მონაწილე პირების შესახებ. ტექსტის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ნახევარ გვერდს.

პროექტის მოკლე ანოტაცია:

წარმოადგინეთ პროექტის მოკლე აღწერა. მაქსიმუმ 200 სიტყვა.

ინფორმაცია პროექტის შესახებ:

უნდა მოიცავდეს პროექტის არსის, მიზნებისა და ამოცანების შესახებ. მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს ნახევარ გვერდს.

პროექტის განხორციელების ეტაპები, ვადები და შემსრულებლები, შედეგის ამსახველი მასალა (ნიმუში):

ამოცანის/საქმიანობის დასახელება:	**ვადები:**	**შემსრულებლები:**	**შედეგის ამსახველი მასალა:**
1. აუდიოდისკისათვის გამოსაცემი მასალის შერჩევა			შერჩეული მასალის ჩამონათვალი და აუდიონიმუშები
2. მასალის თარგმნა			თარგმნილი ტექსტი
3. კონფერენციაში მონაწილეობის მიღება			კონფერენციის პროგრამა, მონაწილეობის ამსახველი ფოტომასალა
4.			

პროექტის ბიუჯეტი (ნიმუში):

#	დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ფონდიდან მოთხოვნილი თანხა	დაფინანსება სხვა წყაროდან	ჯამი
1.	ჰონორარები					
1.1						
2.	სამივლინებო ხარჯი					
2.1						
3.	ექსპედიციის ხარჯი					
3.1						
3.2						
4.	საქონელი და მომსახურება					
4.1						
5.	კონფერენციაში მონაწილეობის გადასახადი					
5.1						
6.	ზედნადები ხარჯები					
6.1						
7.	სხვ.					
7.1						

1. პროექტის ბიუჯეტი წარმოდგენილი უნდა იყოს ეროვნულ ვალუტაში
2. ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხები უნდა შეიცავდეს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს
3. სამივლინებო ხარჯები არ უნდა აჭარბებდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ დადგენილ ნორმებს
4. პროექტის დამტკიცებამდე შესაძლოა მოხდეს ბიუჯეტის კორექტირება
5. პროექტის ხარჯების შესაბამისად, შესაძლებელია წარმოსადგენი იქნას დოკუმენტაცია
6. გაითვალისწინეთ საბანკო მომსახურების გადასახადი (არა უმეტეს პროექტის საერთო ღირებულების 1%-ისა)

პროექტის მნიშვნელობა და მოსალოდნელი შედეგები:

აღწერეთ ის სავარაუდო შედეგები, რაც შეიძლება მოყვეს პროექტის წარმატებით განხორციელებას. მაქსიმუმ 200 სიტყვა.

პროექტის შედეგების გავრცელების მექანიზმი:

აღწერეთ თუ რა საშუალებების გამოყენებით აპირებთ პროექტის შედეგების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას და მასალის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას. მაქსიმუმ 100 სიტყვა.

პროექტის მონიტორინგი და შეფასება:

წარმოადგინეთ პროექტის მონიტორინგისა და შეფასების თქვენეული გეგმა ამოცანებისა და შესასრულებელი სამუშაოს შესაბამისად. მაქსიმუმ 150 სიტყვა.

გალობის უნივერსიტეტი გისურვებთ წარმატებას!

კონსულტაციისათვის დაგვიკავშირდით:
ელ. ფოსტა: infosaeklesiomusika@gmail.com